საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

07/02/2025

MES 4 25 0000123060

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის19 ნოემბრის №1488717 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 19 ნოემბრის №1488717 სხდომის ოქმის 04 ნაწილში შევიდეს ცვლილება და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით საბჭოს გადაწყვეტილება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{1} - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული“.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 07 თებერვლის №120946 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^{1} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის

გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ